



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 24

2023 წლის 7 მარტი

ქ. თბილისი

2023 წლის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის - "ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულებით დაწესების და კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის (N265696, 07.03.2023წ.) სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

**ებრძანებ:**

1. დაწესდეს 2023 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემია "ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულებით და გამოცხადდეს კონკურსი;
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემიის "ქალები მეცნიერებაში" - განსაკუთრებული მიღწევებისათვის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულებით კონკურსის წესი და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს „კრებსითი ინფორმაცია კონკურსის შესახებ“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს სამოტივაციო წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს მეცნიერის პირადი ინფორმაციის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს ინსტიტუციიდან მხარდაჭერის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვროს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის სპეციალისტი - ქეთევან გორგაძე;
9. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს ამ ბრძანების გამოქვეყნება ფონდის ვებგვერდზე;
10. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №64).

ერეკლე ასტახიშვილი



2023 წლის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემია -  
“ქალები მეცნიერებაში“ - განსაკუთრებული მიღწევებისათვის ინჟინერიისა და  
ტექნოლოგიების მიმართულებით  
კონკურსის წესი და პირობები

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი აწესებს პრემიას - “ქალები მეცნიერებაში“ - წარმატებული მეცნიერი ქალისთვის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, განსაკუთრებული მიღწევებისათვის.
2. ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის „სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემია “ქალები მეცნიერებაში“ (შემდგომში - კონკურსი) მიზანია გამოავლინოს და წაახალისოს ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულებით მოღვაწე გამორჩეულად წარმატებული მეცნიერი ქალი.
3. კონკურსი ხელს შეუწყობს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „Horizon 2020“-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის (CALIPER), რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობისთვის კვლევისა და ინოვაციის დაკავშირებას, ფარგლებში დამტკიცებული „გენდერული თანასწორობის გეგმის“ შესრულებას.
4. პრემია გაიცემა ერთჯერადად, კონკურსის წესით.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. ფონდი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
2. გენერალური დირექტორი – ფონდის გენერალური დირექტორი;
3. საკონკურსო განაცხადი - პრემიის მოპოვების მიზნით, ამ წესით განსაზღვრული პირობების მიხედვით ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადი;